



თემატურიჯგუფი - "ხარისხის მართვა პროფესიულ განათლებაში"

თემატურიჯგუფის სხდომის ოქმი №18

30 აგვისტო, 2012
თბილისი

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

თარიღი	ადგილი	დასაწყისი	დასასრული
30 აგვისტო, 2012	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	16:00	17:00

დღის წესრიგი
1. დღის წესრიგის განხილვა
2. წინა სხდომის ოქმის დამტკიცება
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პოლიტიკის ანალიზისა და რეკომენდაციებზე, ასევე ETF-ის პროექტის "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება საქართველოში" შედეგებზე დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სარეკომენდაციო ჩარჩოსა და პროგრამის მომზადების გზამკვლევის (გაიდლაინის) საბოლოო ვერსიების განხილვა

სახელი, გვარი	დაწესებულება, თანამდებობა	ელექტრონული ფოსტა, ტელეფონი
მარინა ჟვანია	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსი	marina.zhvania@eqe.ge 577 27 88 41
ლალი შაიშმელაშვილი	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/საგანმანათლებლო	Lali.shaishmelashvili@eqe.ge

	პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსის მოადგილე	577 27 88 49
ქეთევან ფანჩულიძე	სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის საგანმანათლებლო პროგრამების სამმართველოს უფროსი	k.panchulidze@eqe.ge 577 27 88 43
ნანი დალაქიშვილი	სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის სპეციალისტი	nani.dalakishvili@eqe.ge 577 17 55 77
ლალი ლოღელიანი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დეპარტამენტის უფროსი, პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი	lali_gtu@gtu.ge 599 70 44 99
ანა მჭედლიშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, პროფესიული და ინკლუზიური განათლების განვითარების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი	a.mchedlishvili@mes.gov.ge 577 15 33 05
მაკა კორძაძე	სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის სპეციალისტი	Maka.kordzadze@eqe.ge 577 27 88 21

მაია ჩიხლაძე	საზოგადოებრივი კოლეჯი ”პანაცეა”/დირექტორის მოადგილე	chikhldzemaia@yahoo.com 577747444
ნინო ჟვანია	ილიას უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი	Nino.zhvania@iliauni.edu.ge 577 55 64 88
ნინო კოპალეიშვილი	სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროსი	nkopaleishvili@yahoo.com 577 15 33 01
ნანა ნამგალაძე	სსიპ - პროფესიული კოლეჯი ”მერმისი”/ხარისხის მენეჯერი	sershot@rumbler.ru 577 95 95 92
კოტე ჩოკორაია	სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი	kote.chokoraia@ege.ge 577278883
თეა კვინტრაძე	სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი/დირექტორის მოადგილე	tkvintradze@tpdc.ge 577 40 46 51
გოჩა გოგიტიძე	ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადებისა და სერტიფიცირების ცენტრის უფროსი	g.s.gogitidze@bsma.edu.ge 577 44 24 09
მარიამ შოშიაშვილი	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს სპეციალისტი	Mariam_shoshiashvili@hotmail.com 595 48 48 78

შედეგები/კომენტარები/წინადადებები

4. დღის წესრიგის განხილვა

დასკვნები და ქმედებები:

დამტკიცდეს სხდომის დღის წესრიგი დამატებების გარეშე

5. წინა სხდომის ოქმის (ოქმი №17. 26.07.2012) დამტკიცება

დასკვნები და ქმედებები:

დამტკიცდეს წინა სხდომის ოქმი - ოქმი თან ერთვის

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პოლიტიკის ანალიზსა და რეკომენდაციებზე, ასევე ETF-ის პროექტის "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება საქართველოში" შედეგებზე დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სარეკომენდაციო ჩარჩოსა და პროგრამის მომზადების გზამკვლევის (გაიდლაინის) საბოლოო ვერსიების განხილვა

მარინა ჟვანიამ აღნიშნა, რომ ETF-ის პროექტის "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება საქართველოში" ეროვნული კოორდინატორის მიერ ჯერ კიდევ პროექტის აქტივობების დაწყებამდე მომზადდა საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პოლიტიკის ანალიზი, რომელიც განხილულ იქნა როგორც განათლების ხარისხის განვითარების ცენტრში, ასევე ETF-ის მხრიდანაც. ანალიზი ასახავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სიტუაციას, რომელიც არსებობდა პროექტის აქტივობების დაწყებამდე. ანალიზში ასახულია პროფესიული განათლების სისტემის განვითარების სამართლებრივი და პოლიტიკური საფუძვლები, პროგრამების განვითარების მეთოდოლოგია და მოცემულია

გარკვეული დასკვნები და რეკომენდაციები.

აღნიშნულია, რომ არსებობს პროფესიული განათლების შესახებ კანონი(განახლდა 2010 წელს) და კანონქვემდებარე აქტები(ძირითადად დამტკიცდა 2010-2011 წლებში), ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო (დამტკიცდა 2010 წლის დეკემბერში), პროფესიული სტანდარტები, პროფესიული პროგრამის მომზადების სარეკომენდაციო ჩარჩო, პროგრამების განვითარებას ასევე ხელს უწყობს ავტორიზაცია-აკრედიტაციისა და თვითშეფასების პროცესები. ანალიზში დეტალურადაა აღწერილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების ეტაპები და პროცესი. გაკეთებულია გარკვეული დასკვნებიც. კერძოდ,

1. 2007-2011 წლებში მომზადდა და დამტკიცდა პროფესიული განათლების სისტემის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო და ძირითადი ნორმატიული დოკუმენტები, პროფესიული განათლების შესახებ კანონი, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო, პროფესიული სტანდარტები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებში გაანგარიშების წესი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩოს დიზაინი. გარდა ამისა, მიმდინარეობს ავტორიზაცია/აკრედიტაციის პროცესი, რომლებიც თვითშეფასების პროცესთან ერთად წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება/გაუმჯობესების საფუძველს.
2. ამჟამინდელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაყოფა პროფესიული განათლების საფეხურებად (I - III) შეიძლება არ იყოს ყოველთვის ეფექტური (სწავლებისა და შეფასების თვალსაზრისით), დასაქმების ფაქტორის გათვალისწინების გარეშე (მაგ., I და II საფეხურის ელექტრიკოსებსა და შემდგომელებზე არ არის მოთხოვნები კომპანიებში, იქედან გამომდინარე, რომ მათი უნარები არ არის საკმარისი სამუშაოს შესასრულებლად). საჭირო იქნება, განხილულ იქნას, პრაგმატული თვალსაზრისით, რა უნდა წარმოადგენდეს მინიმალურ კვალიფიკაციის დონეს პროფესიის მიხედვით, და მომზადდეს გადასვლა უფრო მოქნილ პროგრამებზე, რომლებიც უზრუნველყოფს პროგრესის, განახლებისა და სტუდენტების ცოდნის დაგროვების საშუალებას.
3. ამჟამად გამოყენებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების საყოველთაოდ მიღებული მიდგომა არ არის დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების

სტანდარტულ მეთოდოლოგიაზე; სრულყოფილი განხილვა არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიდგომისა უკვე დაწყებულია, რომლის ნაწილიცაა ეს ანალიზი და პროექტი "ETFის ექსპერტული დახმარების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების ინიციატივა საქართველოში," რომლის შედეგებიც წარდგენილი იქნება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის, რომელიც შემდგომში პასუხისმგებელია წარმართოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების გაუმჯობესების პროცესი.

4. პროფესიული სტანდარტები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დიზაინის ფორმა, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებში დაანგარიშების წესის შესახებ ბრძანება უნდა გადაიხედოს/განახლდეს.
5. არ არსებობს სტუდენტების საერთო შეფასების სისტემა (კრიტერიუმები და ინსტრუმენტები). პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები განიხილავენ ამ ასპექტს, როგორც ერთ-ერთ სირთულეს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების საკითხში.
6. პროფესიული განათლების განმახორციელებელი ზოგიერთი დაწესებულება სისტემატურად არ იყენებს ყველა ინსტრუმენტს, რომელიც ასახავს დამსაქმებლების, სტუდენტების, მასწავლებლებისა და მშობლების უკუკავშირს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების/განახლების პროცესში, მიუხედავად ამისა, პროფესიული განათლების პროვაიდერებს მოეთხოვებათ, განავითარონ და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების თვითშეფასების ანგარიშებში ასახონ ყველა დაინტერესებული პირის უკუკავშირი.
7. პროფესიული განათლების განმახორციელებლებს ხელი მიუწვდებათ ტრენინგებსა და კონსულტაციებზე საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სხვადასხვა ასპექტის განხილვის მიზნით. თუმცა, მეთოდოლოგიური ტრენინგი მიძღვნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, დიზაინის, განხორციელებისა და გაუმჯობესების მიმართულებით, ასევე პროფესიულ სტანდარტებთან დაკავშირებული განხილვები ნაკლებად ხშირია, ვიდრე საინფორმაციო და საკონსულტაციო შეხვედრები, რომელიც განმარტავს საკანონმდებლო და მარეგულირებელ ჩარჩოს. ანალიზი მოიცავს გარკვეულ რეკომენდაციებსაც.

ანალიზის რეკომენდაციები:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების არსებული მეთოდოლოგია/პრაქტიკა უნდა იყოს შეფასებული იმ მიზნით, რომ მოხდეს იდენტიფიცირება, თუ რამ იმუშავა კარგად და რა საჭიროებებია შესაცვლელი და/ან გასაუმჯობესებელი. შედეგად, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების განახლებული მეთოდოლოგია უნდა იყოს იდენტიფიცირებული, რაც შემდგომ გამოყენებულ იქნება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში.
2. მხარდაჭერილი უნდა იყოს იმ მექანიზმების განვითარება, რომლებიც მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხისა და პროგრამის მისაღწევი შედეგების გასაუმჯობესებლად. რეკომენდირებულია, რომ გადაიხედოს პროფესიული სტანდარტები და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სარეკომენდაციო ჩარჩო.
3. უნდა მოხდეს საჭიროებების იდენტიფიცირება და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების უზრუნველყოფა შესაბამისი ტრენინგებით/სამუშაო სემინარებით, რათა მოხდეს მათი რესურსების განვითარება როგორც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების /სილაბუსების შემუშავების, ასევე განხორციელების ეტაპებისთვის.
4. რეკომენდირებულია, მოხდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების კარგი პრაქტიკის შემთხვევების იდენტიფიცირება, შესწავლა და გავრცელება. მხარდაჭერილი უნდა იქნას ინფორმაციის გაცვლა და პროფესიული განათლების პროვაიდერების მიერ საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების კარგი პრაქტიკის გაზიარება.

მარინა ჟვანიამ აღნიშნა, რომ ამ დოკუმენტს მოჰყვა ევროპის ტრენინგის ფონდის (ETF) პროექტის - "საქართველოში

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება” განხორციელება, რომლის ფარგლებში გადამუშავდა და მომზადდა ორი სანიმუშო პროგრამა, ასევე მოხდა პროგრამის შემუშავების გზამკვლევის მომზადება. ლალი შაიშმელაშვილმა დამსწრეებს შეახსენა, რომ ევროპის ტრენინგის ფონდის (ETF) პროექტის - ”საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება” - ფარგლებში მომზადდა ბულალტრისა და ელექტრიკოსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ნიმუშები და ნიმუშის მოსამზადებელი სახელმძღვანელო პრინციპები/გზამკვლევი/ტექნიკური გაიდლაინი. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სამსახურის მიერ განხორციელდა პროექტის მიერ შემუშავებული დოკუმენტების ადაპტირება საქართველოს პროფესიული განათლების სისტემასთან და თემატური ჯგუფის სხდომას ივლისის თვეში განსახილველად წარედგინა უკვე ცენტრის მიერ შემუშავებული ვერსიები. ვერსიები გადამუშავდა სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით და აგვისტოში მოხდა მათი დამუშავება ახალი პროექტის - ”პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მხარდაჭერა (სტანდარტები და კურიკულუმები)” - ფარგლებში ჩატარებული სამუშაო შეხვედრების მონაწილეების მიერ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების და ავტორიზაცია-აკრედიტაციის ექსპერტთა ჩართულობით. სხდომაზე წარმოდგენილი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული საბოლოო ვერსიები ასახავს ყველა გამოთქმულ შენიშვნას და რეკომენდაციას, სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსების შემდეგ, გზამკვლევზე მუშაობა გაგრძელდება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით.

(დოკუმენტები დანართების სახით ოქმს თან ერთვის).

რეკომენდაციები:

- სხდომაზე წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სარეკომენდაციო ჩარჩოსა და პროგრამების მომზადების გზამკვლევის (ტექნიკური გაიდლაინი) საბოლოო ვერსიები გადაეგზავნოს ეროვნულ პროფესიული საბჭოს განსახილველად, რათა შემდგომში განთავსდეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდზე.

შენიშვნები და მოსაზრებები:

გამოითქვა მოსაზრებები (მარინა ჟვანია, ქეთვან ფანჩულიძე, გოჩა გოგიტიძე, კოტე ჩოკორაია, ნანა ნამგალაძე, ნანი დალაქიშვილი), რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ახალ ჩარჩოზე და პროგრამის მომზადების გზამკვლევზე მუშაობა კარგახანს მიმდინარეობდა, ამ პროცესში ჩართულები იყვნენ როგორც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები, ასევე პროექტის მონაწილეები და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები, ავტორიზაცია-აკრედიტაციის ექსპერტები. წარმოდგენილი დოკუმენტები მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულ სახელმძღვანელოს როლს შეასრულებს პროგრამებზე მომუშავე პერსონალისათვის და რაც უფრო მნიშვნელოვანია, ასეთი სახით მომზადებული საგანმანათლებლო პროგრამები უფრო სრულყოფილად აღწერს პროფესიული სტანდარტით მისაღწევ შედეგებს, შესრულების კრიტერიუმებს, სტუდენტთა შეფასებას და მთლიანად სასწავლო პროცესს. აქვე აღინიშნა, რომ სასურველია ნორმატიულ დოკუმენტში - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №121/5 (2010 წლის 10 დეკემბერი) - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ - შევიდეს ცვლილებები, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება ზოგიერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკულ კომპონენტში დაიგეგმოს დამოუკიდებელი საათები.

დასკვნები და მოქმედებები:

- სხდომაზე წარმოდგენილი დოკუმენტები - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სარეკომენდაციო ჩარჩოსა და პროგრამის მომზადების გზამკვლევის (გაიდლაინის) საბოლოო ვერსიები გადაეგზავნოს ეროვნულ პროფესიულ საბჭოს განსახილველად და შემდგომში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდზე განსათავსებლად.
- გაგრძელდეს დაინტერესებულ მხარეთა დისკუსიები ნორმატიულ დოკუმენტში - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №121/5 (2010 წლის 10 დეკემბერი) - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ - ცვლილებების შეტანის თაობაზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო

პროექტი

1. ზოგადი ნაწილი

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სამართლებრივი საფუძვლები

1.2. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება

1.3. პროფესიული სპეციალიზაცია

1.4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

1.5. პროგრამის მოცულობა კრედიტებში

1.6. სწავლების ხანგრძლივობა

2. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

2.1. მინიმალური განათლება

2.2. მინიმალური ასაკი

2.3. კვალიფიკაცია

2.4. შიდა შესარჩევი კონკურსის წესი და პირობები

2.5. ქართული ენის ფლობის დონე პროგრამის გავლის მსურველთათვის, ვისთვისაც ქართული ენა არ არის მშობლიური

2.6. უცხოენოვან პროგრამებზე იმ უცხოური ენის ფლობის დონე, რომელზეც მიმდინარეობს სწავლება

3. დასაქმებისა და შემდგომი პროფესიული განვითარების შესაძლებლობები

4. პროფესიული პროგრამის მიზნები

5. სასწავლო გეგმა

5.1. სწავლის შედეგები/მიღწევის კრიტერიუმები - პროგრამის სასწავლო კურსები/ მოდულები

სწავლის შედეგები (ს.შ.) და შესრულების კრიტერიუმები (შ.კ.)	რეკომენდირებული სასწავლო კურსები/ მოდულები
ს.შ.1	
კ.1.1.	
კ.1.2.	
კ.1.3.	
ს.შ.2	
კ.2.1.	
კ.2.2.	
კ.2.3.	

5.2. სასწავლო კურსების ჩამონათვალი, სწავლების ფორმა(ტიპი), საათებისა და კრედიტების განაწილება

	სასწავლო კურსები/მოდულები	კრედიტების რაოდენობა	ს ა ა თ ე ბ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა					სულ საათების რაოდენობა
			საკონტაქტო საათები					
			ლექცია/პრაქტიკული	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/ დასკვნითი შეფასება	
1.								
2.								
3.								
4.								
5.								
6.								
7.								
8.								
9.								

5.3. სწავლების პროცესის ორგანიზება

სასწავლო კურსების/მოდულების კვირეული განაწილება

5.4. განმარტებები (დამატებითი ინფორმაცია)

6. სწავლებისა და სწავლის მიდგომები

7. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა(დატვირთვა)

8. შეფასების სისტემა

8.1. პროფესიული სტუდენტის მოსწრების შეფასება

8.2. შეფასების ინსტრუმენტები

8.3. სიზუსტის ხარისხი

8.4. შეფასებისათვის განკუთვნილი დრო

8.5. განმეორებითი შეფასება

8.6. შეფასების ცხრილი

შეფასების ცხრილი		
სწავლის შედეგები	შეფასების კრიტერიუმები	შეფასების კონტექსტი და შესაბამისი მეთოდები
ს.შ.1		

ს.შ. 2		
ს.შ. 3		

9. პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი

10. პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის უფლებამოსილება

ხელმოწერა:

საგანმანათლებლო დაწესებულება:

თარიღი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მომზადების

გზამკვლევი

(პროექტი)

1. ზოგადი ნაწილი

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სამართლებრივი საფუძვლები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ეფუძნება:

- ”პროფესიული განათლების შესახებ” საქართველოს კანონს (2010);
- ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს (დანართი 2- პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო და დანართი 4 - მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვე-დარგების/სპეციალობებისა და პროფესიულ სპეციალიზაციათა ჩამონათვალი);
- შესაბამის პროფესიულ სტანდარტს (*მაგ. ელექტრიკოსის პროფესიულ სტანდარტს*);
- განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 121-ე ბრძანებას ”პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის” შესახებ;
- არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №8/ნ;
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავებულ შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს (*მიუთითეთ დოკუმენტების დასახელება*).

1.2. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება

პროგრამის სახელწოდება უნდა ასახავდეს პროგრამის შინაარსს. პროგრამის სახელწოდება შესაძლებელია არ ემთხვეოდეს მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

1.3. პროფესიული სპეციალიზაცია

მიუთითეთ პროფესიული სპეციალიზაცია და შესაბამისი კოდი პროფესიულ სპეციალიზაციათა ჩამონათვლის მიხედვით.

1.4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

მიუთითეთ პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული პროფესიული კვალიფიკაცია, რომელიც ენიჭება კურსდამთავრებულს პროგრამის დასრულების შემდეგ და აისახება დიპლომში.

1.5. პროგრამის მოცულობა კრედიტებში

მიუთითეთ პროგრამის მთლიანი მოცულობა, ასევე, პროგრამაში თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების წილი, გათვლილი კრედიტებში, შესაბამისი სასწავლო საათების რაოდენობის მითითებით.

1.6. სწავლების ხანგრძლივობა

სასწავლო პროცესის საერთო ხანგრძლივობა მიუთითეთ თვეებში, კვირებში, ან დღეებში (როგორც უფრო მოსახერხებელია პროგრამის განმახორციელებლისათვის).

2. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

პროგრამაზე დაშვების წინაპირობების განსაზღვრის დროს შესაძლოა გათვალისწინებული იყოს ქვემოთ მოყვანილი პუნქტებიდან ერთი ან რამოდენიმე წინაპირობა, ან, პროგრამის თავისებურებიდან გამომდინარე, დაწესებული იყოს განსხვავებული მოთხოვნები.

2.1. მინიმალური განათლება

პროგრამის წარმატებით დაძლევისათვის საჭირო წინარე ცოდნისა და უნარების გათვალისწინებით განსაზღვრული განათლების მინიმალური საფეხური, რაც მოეთხოვება პროგრამის გავლის მსურველს.

2.2. მინიმალური ასაკი

პროგრამაზე დაშვების მინიმალური ასაკი განისაზღვრება ”პროფესიული განათლების შესახებ” საქართველოს კანონითა და შესაბამისი პროფესიული სტანდარტით, ასევე პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით.

2.3. კვალიფიკაცია

წინა საფეხურის (არსებობის შემთხვევაში) კვალიფიკაციის ფლობა, ან არაფორმალური გზით შეძენილი წინა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების აღიარება მოქმედი წესით (არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №8/ნ).

2.4. შიდა შესარჩევი კონკურსის წესი და პირობები

პროგრამის თავისებურებიდან გამომდინარე, დაწესებულებას შეუძლია დააწესოს დამატებითი მოთხოვნები (მაგ. განსაკუთრებული ფიზიკური უნარების ფლობა (ცურვის ან სიმაღლეზე მუშაობის უნარი), რაიმე დაავადების (მაგ. ალერგიის) გამორიცხვა, ან შემოქმედებითი უნარების ფლობა) და მათ შესამოწმებლად, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, შიდა მარეგულირებელი დოკუმენტით დაადგინოს შიდა შესარჩევი კონკურსის წესი და პირობები. ამ შემთხვევაში დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს კონკურსის წესის, პირობებისა და შეფასების კრიტერიუმების გამჭვირვალობა და მათი ხელმისაწვდომობა პროგრამის გავლის ყველა მსურველისათვის.

2.5. ქართული ენის ფლობის დონე პროგრამის გავლის მსურველთათვის, ვისთვისაც ქართული ენა არ არის მშობლიური

განსაზღვრეთ ქართული ენის ცოდნა იმ დონეზე, რომელიც აუცილებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასაძლევად. ქართული ენის ფლობის დონე განისაზღვრება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, სწავლის შედეგებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის თავისებურებით.

2.6. უცხოენოვან პროგრამებზე იმ უცხოური ენის ფლობის დონე, რომელზეც მიმდინარეობს სწავლება

განსაზღვრეთ უცხოენოვან პროგრამაზე ჩასარიცხად უცხოური ენის ფლობა იმ დონეზე, რომელიც აუცილებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასაძლევად. უცხოური ენის ფლობის დონე განისაზღვრება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, სწავლის შედეგებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის თავისებურებით.

3. დასაქმებისა და შემდგომი პროფესიული განვითარების შესაძლებლობები

მიუთითეთ პროგრამის დასრულების შემდგომი პერსპექტივები: დასაქმება, სწავლის გაგრძელება შემდეგ საფეხურზე, შეძენილი კვალიფიკაციის გაღრმავება თვითგანვითარებით ან შესაბამისი სასერტიფიკაციო ტრენინგებით.

4. პროფესიული პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზანში აღწერეთ, კურსდამთავრებული შეძენილი უნარებით როგორ შეძლებს თავის დამკვიდრებას შრომით ბაზარზე, ასევე, ზოგადად აღწერეთ ის ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები, რაც სტუდენტებს ექნებათ პროგრამის დასრულების შემდეგ.

(მაგ. პროგრამის მიზანია, სტუდენტს განუვითაროს ბულალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის შესაბამისი ცოდნა და უნარები, რათა მან, პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ, შეძლოს შევიდეს შრომის ბაზარზე; პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებს ცოდნითა და გაცნობიერებით, თუ როგორ უნდა გამოიყენოს ფინანსური ინფორმაცია, მოამზადოს საბულალტრო განცხადებები, შეძლოს ორგანიზაციის ფინანსური მაჩვენებლების ანალიზი, ინტერპრეტირება, შედარება და ანგარიშის წარდგენა.

პროგრამა შედგება როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული სასწავლო კურსებისაგან. პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტებს შეეძლებათ:

- გააცნობიერონ ბულალტრის ფუნქცია ორგანიზაციაში;
- საბულალტრო ინფორმაციის სრულყოფილად მომზადება, პრეზენტაცია, ინტერპრეტაცია და ანალიზი;
- ფინანსური საკითხების პრობლემის გადაწყვეტისას სისტემური მიდგომის გამოყენება;
- ყოველდღიური და რთული აღრიცხვის ტექნიკის გამოყენება;
- ორგანიზაციებისთვის ხელმისაწვდომი სხვადასხვა ფინანსური რესურსების საფუძვლიანად გაცნობიერება და მათი გამოსაყენებლად ყველაზე შესაფერისი გარემოებების შერჩევა;
- საინფორმაციო ტექნოლოგიები გამოყენება ბულალტერიაში.

სტუდენტებს ასევე გამოუმუშავდებათ კრიტიკული, ანალიტიკური და რაოდენობრივი აზროვნების უნარები. ისინი შეძლებენ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას საბუღალტრო დეტალური ინფორმაციის მოსამზადებლად და წარსადგენად, შესაბამისი საბუღალტრო პროგრამების გამოყენებით).

5. სასწავლო გეგმა

5.1. სწავლის შედეგები/მიღწევის კრიტერიუმები - პროგრამის სასწავლო კურსები/ მოდულები

სწავლის შედეგებში დეტალურად ჩამოაყალიბეთ ის ცოდნა და უნარები, რაც კურსდამთავრებულმა უნდა გამოავლინოს პროგრამის დასრულების შემდეგ. სწავლის შედეგებში აღიწერება ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები, პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერისა და პროფესიული სტანდარტის შესაბამისად, ასევე, დაინტერესებულ პირთა მოთხოვნების გათვალისწინებით.

სწავლის თითოეულ შედეგს ახლავს შესრულების კრიტერიუმები, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა უნდა შეფასდეს და როგორი უნდა იყოს შესრულების დონე. კრიტერიუმები უნდა იყოს კონკრეტული, მკაფიო და გაზომვადი. ამავე დროს, მიუთითეთ ის კურსები/მოდულები, რომლის ფარგლებშიც ხდება თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა.

სწავლის შედეგები (ს.შ.) და შესრულების კრიტერიუმები (კ.)	რეკომენდირებული სასწავლო კურსები/ მოდულები
ს.შ.1	
კ.1.1.	
კ.1.2.	
კ.1.3.	
ს.შ.2	
კ.2.1.	
კ.2.2.	
კ.2.3.	

5.2. სასწავლო კურსების/მოდულების ჩამონათვალი, სწავლების ფორმა(ტიპი), საათებისა და კრედიტების განაწილება

ცხრილის შესაბამის გრაფაში ასახეთ საგანმანათლებლო პროგრამის მთლიანი სამუშაო დატვირთვა, თითოეული სასწავლო კურსის/მოდულისათვის გამოყოფილი საათებისა და კრედიტების რაოდენობა, თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტები. პრაქტიკული კომპონენტის წილი პროგრამაში განისაზღვრება პროფესიული სტანდარტისა და პროგრამის მიზნების შესაბამისად. პროფესიულ სტანდარტში მითითებულია პრაქტიკის მინიმალური მოცულობა, მაგრამ პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, შესაძლებელია პრაქტიკული კომპონენტის წილის გაზრდა.

სასწავლო კურსები/მოდულები გამოითვლება საათებითა და კრედიტებით. 1 კრედიტი მოიცავს 25-დან 30-მდე ასტრონომიულ საათს.

	სასწავლო კურსები/მოდულები	კრედიტების რაოდენობა	ს ა ა თ ე ბ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა					სულ საათების რაოდენობა
			საკონტაქტო საათები					
			ლექცია/პრაქტიკული	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/დასვენითი შეფასება	
	ზოგადი სასწავლო კურსები							
10.								
11.								
12.								

13.									
14.									
	სპეციალური თეორიული სასწავლო კურსები								
15.									
16.									
17.									
	სპეციალური პრაქტიკული სასწავლო კურსები								
18.									
19.									
20.									
	შეჯამებული კრედიტები/საათები								

5.3. სწავლების პროცესის ორგანიზება

სწავლების ფორმა და ორგანიზება დამოკიდებულია პროგრამის ხანგძლივობაზე, სწავლის შედეგებზე, პოტენციურ სტუდენტთა მოთხოვნებზე და მოიცავს:

სასწავლო კურსის განაწილებას სემესტრებად/ტრიმესტრებად და ა.შ.; სასწავლო პრაქტიკისა და თეორიული სწავლების განაწილებასა და ორგანიზებას, საწარმოო პრაქტიკის მოცულობას, ორგანიზებას და საათების განაწილებას, შემაჯამებელი შეფასებების სიხშირეს; სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და სწავლების ფორმებთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

სასწავლო კურსების/მოდულების კვირეული განაწილება

№	სასწავლო კურსები/მოდულები	I კვირა	II კვირა	III კვირა	IV კვირა	V კვირა	VI კვირა...	ჯამი

	ჯამი							

5.4. განმარტებები (დამატებითი ინფორმაცია)

დამატებითი ინფორმაციის სახით, შესაძლოა გაკეთდეს განმარტება სასწავლო გეგმის შესახებ, სასწავლო კურსების/მოდულების მონაცვლეობის შესახებ, საათების განაწილების, პრაქტიკული და თეორიული კურსების ორგანიზების შესახებ და სხვა. დეტალური გეგმა საწარმოო პრაქტიკის და სასწავლო პრაქტიკის შესახებ აისახება შესაბამის სილაბუსში.

სილაბუსი უნდა შემუშავდეს სწავლების განმხორციელებელი დაწესებულების მიერ დამსაქმებელთან თანამშრომლობის საფუძველზე, სათანადო კანონმდებლობასთან შესაბამისობით.

6. სწავლებისა და სწავლის მიდგომები

პროგრამის სწავლის შედეგების ეფექტურად მისაღწევად, სწავლებისა და სწავლის მიდგომების შემუშავებისას გათვალისწინებულია პროგრამის თავისებურება, პოტენციურ სტუდენტთა საჭიროებები და დამსაქმებელთა მოთხოვნები. თითოეული საგნის სწავლების მეთოდიკა დეტალურად აღწერილია შესაბამის სილაბუსში.

7. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა(დატვირთვა)

მიუთითეთ, პროფესიული სტუდენტის რა სახის სასწავლო დატვირთვას მოიცავს პროგრამა. მაგალითად:

- ლექციაზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, ლაბორატორიულ მეცადინეობას;
- დამოუკიდებელი მეცადინეობა;

- სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა;
- პროექტებზე მუშაობა;
- შემაჯამებელი შეფასებებისათვის მომზადება და ჩაბარება;
- სხვა დატვირთვა, რომელიც ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას.

დატვირთვის სახეს განაპირობებს სასწავლო კურსის/მოდულის სპეციფიკა.

8. შეფასების სისტემა

8.1. პროფესიული სტუდენტის მოსწრების შეფასება

კრედიტის მინიჭება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც აისახება ამ მუხლის პუნქტით 2 (ა) გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასების მეშვეობით.

შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (ა) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (ბ) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (გ) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (დ) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა.ე) (ე) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასება 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და რომ ეძლევა შესაძლებლობა, ჩააბაროს დამატებითი გამოცდა დამოუკიდებლად მუშაობის შემდეგ;

ბ.ბ) (F) ჩაჭრა 40% ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია და მითითებულია 100 ქულაში შუალედური და საბოლოო შეფასების წილი.

დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების ერთჯერადი შეფასება მხოლოდ საბოლოო გამოცდის საფუძველზე. შეფასება უნდა მოიცავდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) საბოლოო გამოცდის შეფასებას;

საბოლოო გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში გამოცდიდან, სულ მცირე, 10 დღეში პროფესიულ სტუდენტს დამატებითი გამოცდის ჩაბარების უფლება აქვს.

8.2. შეფასების ინსტრუმენტები

შეფასების ინსტრუმენტები სათანადოდ და სანდოდ უნდა ახდენდეს საგანმანათლებლო პროგრამის შედეგებისა და შესრულების კრიტერიუმების შეფასებას. შეფასების ინსტრუმენტების შერჩევა ეფუძნება შესაფასებელი უნარების სპეციფიკას.

პრაქტიკული უნარების შეფასების ინსტრუმენტები:

პრაქტიკული სავარჯიშო

სიმულაცია

როლური თამაში

სიტუაციური ამოცანა

პროექტი

დემონსტრირება

სხვა (მიუთითეთ)

შემეცნებითი უნარების შეფასების ინსტრუმენტები:

ტესტი

ზეპირი გამოცდა

წერითი ნაშრომი

სიტუაციური ამოცანა

პროექტი

სხვა (მიუთითეთ)

8.3. სიზუსტის ხარისხი

თითოეული შედეგის შეფასებისათვის შერჩეული ინსტრუმენტი უნდა უზრუნველყოფდეს მაქსიმალურ სიზუსტეს. განსაზღვრული უნდა იყოს ნებადართული შეცდომების რაოდენობა და მათი რაჩეობა მნიშვნელოვნების მიხედვით, მინიმალური დადებითი ქულა.

8.4. შეფასებისათვის განკუთვნილი დრო

თითოეული შეფასებისათვის ინსტრუმენტის თავისებურებიდან გამომდინარე, განსაზღვრული უნდა იყოს სათანადო დრო. სამუშაო ადგილზე არსებულ დამატებით სიმულაციის შესაქმნელად შესაძლოა საგანგებოდ დაწესდეს დროის რეგლამენტი.

8.5. განმეორებითი შეფასება

თუკი შეფასების განმავლობაში ვერ მოხდა კომპეტენციის მტკიცებულების დემონსტრირება, უარყოფითად შეფასებული ნაწილი ხელახლა შეფასდება.

8.6. შეფასების ცხრილი

თითოეული სწავლის შედეგისათვის განსაზღვრულია შეფასების კრიტერიუმები (რა ცოდნა და უნარი ფასდება), რა კონტექსტში უნდა მოხდეს შეფასება ამ კრიტერიუმების მიხედვით (მაგ. სამუშაო ადგილას, იმიტირებულ სამუშაო გარემოში და სხვა) და რა მეთოდით ხდება შეფასება.

შეფასების ცხრილი

სწავლის შედეგები (ს.შ.)	შეფასების კრიტერიუმები	შეფასების მეთოდები
ს.შ.1		
ს.შ. 2		
ს.შ. 3		

9. პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი

დოკუმენტის სახე და მისანიჭებელი კვალიფიკაცია

10. პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის უფლებამოსილება

ხელმოწერა:

საგანმანათლებლო დაწესებულება:

თარიღი: